# საქართველოს პრემიერ-მინისტრის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N159 2015 წლის 28 აპრილი ქ. თბილისი

**„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 3 სექტემბრის №316 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 3 სექტემბრის №316 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

**ირინა ხანთაძე** - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

**თინათინ ბრეგვაძე** - ა(ა)იპ - ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის სამხრეთ კავკასიის რეგიონის ოფიცერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**ლიკა ქათამაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს სხდომის მდივანი;

**ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი;

**ირინე კვახაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;

**დავით აფრასიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), პროფესორი;

**ბორის ლეჟავა** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" კავკასიის ბიზნესის სკოლის დეკანი;

**ნინო სოზაშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

**ლია ღლონტი** - Erasmus + საქართველოს ეროვნული ოფისის კოორდინატორი.".

№1

**ირაკლი ღარიბაშვილი**